ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი

ქეთევან კაბულაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საჯარო სამართალი და პოლიტიკის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: ილია წიკლაური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2024

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან კაბულაშვილი

ქ.კაბულაშვილი

20.06.2024

აბსტრაქტი

საჯარო რეესტრის შესახებ კანონის 29-ე მუხლი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს, რომელიც არის ბუნდოვანი და იკვეთება არაერთგვაროვანი მიდგომა. წინამდებარე კვლევა ეძღვნება, სწორედ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ გააზრებას, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და გასაჩივრების მექანიზმის ანალიზს.

საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტო არის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო, რომელიც აერთიანებს ქვეყნის შვიდ მნიშვნელოვან რეესტრს. წინამდებარე კვლევაში ყურადღება გამახვილებულია საჯარო რეესტრის სტრუქტურისა და ფუნქციებზე, რაც გამოკვეთს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თუ რომელ ადმინისტრაციულ აქტს განეკუთვნება იგი. ყოველივე ამის გამოსაკვლევად კვლევაში განხილულია ადმინისტრაციული სამართლის არსი და ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტი. ასევე აღნიშნული ინსტიტუტის გამოსაკვლევად ნაშრომში განხილულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლო აკეთებს განმარტებებს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოს მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის აუცილებლობაზე.

კვლევაში ასევე განხილულია საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების გასაჩივრების გზები და საჩივრის განმხილველი ორგანო, რითაც იკვეთება საჩივრის განმხილველი ორგანოს ორი ერთმანეთისთვის შეუთავსებელი ფუნქცია. წინამდებარე კვლევაში დასაბუთებულია თუ რატომ არ მოდის სამართლის პრინციპებთან შესაბამისობაში საჯარო რეესტრის გასაჩივრების მექანიზმი და როგორი უნდა იყოს რეალურად იგი.

საკვანძო სიტყვები: საჯარო რეესტრი, ადმინისტრაციული საჩივარი, გასაჩივრების მექანიზმი.

Abstract

Article 29 of the Law of Georgia on "Public Registry" establishes the procedure for appealing the decision made by the National Public Registry Agency, which is vague and shows a non-uniform approach. The present study is dedicated to understanding the structure of the National Public Registry Agency, the decisions it makes and the analysis of the appeal mechanism.

Public Registry National Agency is a body implementing public-legal powers, which unites seven important registries of the country. In the present study, attention is focused on the structure and functions of the public registry, which highlights the decisions made by it and which administrative act it belongs to. In order to investigate all this, the research examines the essence of administrative law and the institution of administrative complaint. Also, the research paper of the mentioned institution discusses the decisions of the Supreme Court, where the court makes clarifications on the necessity of impartiality and objectivity of the administrative complaint review body.

The research also discusses the ways of appealing to the public register and the appeals review body, thereby highlighting the two mutually incompatible functions of the appeals review body. In the present study, it is justified why the appeal mechanism of the public register does not comply with the principles of law and what it should actually be.

Key words: public register, administrative appeal, appeal mechanism.